შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ №2 ავტობაზის ტერიტორიაზე გამოვლენილი ხარვეზებისა და დეფექტების აღმოფხვრის სამუშოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება

ჩასატარებელი სამუშაოების მოკლე აღწერილობა:

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ №2 ავტობაზა მდებარეობს დემეტრე თავდადებულის ქ. N36. ავტობაზა ემსახურება 370 ერთეულ ბუნებრივ აირზე და დიზელის საწვავზე მომუშავე ავტობუსს. აღნიშნული ავტობაზა ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა 2017 წლის ივლისში, თუმცა მალევე ავტობაზის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა სხადასხვა სახის მნიშვნელოვანი ხარვეზები და დეფექტები, რომლებიც პროგრესირებდა და მოიცვა ავტობაზის დიდი ნაწილი, კერძოდ: ავტობაზის მთელ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით ავტობუსების სადგომზე მოწყობილ ბეტონის საფარზე გაჩნდა დიდი ზომის ბზარები, ხოლო ზოგიერთ ადგილზე მოხდა ბეტონის საფარის (ბეტონის ფილების) ჩავარდნა, რის გამოც შეიზღუდა ავტობუსების გადაადგლება და პარკირება; ადმინსტრაციულმა შენობამ, საწარმოო შენობამ, საწვავგასამართი სადგურის საკომპრესორომ და ავტობაზის პერიმეტრზე განლაგებულმა ღობემ განიცადა ჯდენები, დეფორმაციები. დაზიანებულია საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები; შენობებში სახურავიდან ჩამოსულმა წყალმა დააზიანა საწარმო და საოფისე სივრცე. აღნიშნული ხარვეზების და დეფექტების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ში დანიშნული იქნა შესრულებული სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რაზედაც წარმოდგენილი იქნა ექსპერტის დასკვნები. აღნშნული დასკვნების მიხედვით: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით მიღებული შედეგების ანალისზის საფუძველზე, ავტობაზის პარკინგის ფილაში დაფიქსირებული დეფორმაციები - გამჭოლი ბზარების ინტენსიური განვითარებისა და გახსნილობის სახით, აგრეთვე ტალღოვანი ზედაპრით შეიძლება ახსნილი იქნას მხოლოდ ფუძე გრუნტების დაუსრულებელი თვითშემკვრივების პროცესებით, რაც დასკვნის მიხედვით დარღვევით შესრულებული და არასათნადოდ დატკეპნის შედეგია. ექსპერტის დასკვნების მიხედვით ავტობაზის ტერიტორიაზე წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა საჭიორებს რადიკალური ღონისძიებების გატარებას, კერძოდ მშენებლობისას დაშვებული ხარვეზები, რომლებიც არ შეესაბამებიან სამშებელო ნორმებს და წესებს მოითხოვენ გამოსწორებას, რათა უარყოფითად არ იმოქმედონ შენობა-ნაგებობების გრძელვადიან ექსპლუატაციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს” მიერ განხორციელებული კვლევების, რეკომენდაციების საფუძველზე უნდა დამუშავდეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ №2 ავტობაზაში გამოვლენილი ხარვეზებისა და დეფექტების აღმოფხვისათვის აუცილებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

წინასაპროექტო კვლევა:

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ №2 ავტობაზაში გამოვლენილი ხარვეზებისა და დეფექტების აღმოფხვისათვის აუცილებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში მიმწოდებელი უნდა დაეყრდნოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ს მიერ ჩატარებულ კვლევებს (მათ შორის სანჟინრო გეოლოგიურ კვლევას), თუმცა საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებლმა უნდა განახორციელოს პროექტირებისათვის აუცილებელი სხვა წინასაპროექტო კვლევები.

საპროექტო სამუშაოები:

წინასაპროექტო კვლევითი სამუშაოების ანალიზის შემდეგ უნდა შედგეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ №2 ავტობაზაში გამოვლენილი ხარვეზებისა და დეფექტების აღმოფხვისათვის აუცილებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი სამუშაოების წარმოების ტექნოლოგია და მშენებლობის ორგანიაცია (მოპ) ავტობაზის ექსპლუატაციის პირობებში. ამ პირობებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს პროექტის განმარტებები, კონსტრუქციული ნახაზები, გეგმები, სქემები, კვეთები, ჭრილები შესაბამისი დეტალიზაციით. პროექტით უნდა განისაზღვროს მშენებლობის ვადები, მოცემული უნდა იყოს ობიექტის ძირითადი პარამეტრები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით. მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, სტანდარტები, გაანგარიშების მეთოდები. პროექტის მიხედვით სამუშაოები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მშენებლობა განხორციელდეს მაქსიმალური დატვირთვით და დასრულდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად. პროექტში მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს

დამკვეთთან პროექტირების პროცესში. პროექტი უნდა დამუშავდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს მითითებები სამშენებლო რესურსებზე (მ.შ. მუშახელი, ენერგორესურსები, წყალი, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო მეურნეობა, ტრანსპორტი, მანქანა-მექანიზმები, ამწე მოწყობილობა-დანადგარები, ინსტრუმენტები და სხვა), ასევე შრომის დაცვის და უსაფრთხოების წესები, ეკოლოგია, ბუნების დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების საკითხები.

პროექტირების დროს გასათვალისწინებელი პირობები:

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა განისაზღვროს მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ შესაბამის პერიოდში გამოცემული ,,სამშენებლო რესურსების ფასები“-თ ან/და ბაზრის კვლევის ფასწარმოქმნის საშუალებით;

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს რესურსული ჩაშლით „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71 დადგენილების საფუძველზე. (ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა);

პროექტით უნდა განისაზღვროს მშენებლობის ვადები, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ-ი);

სამუშაოები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ავტობაზის ფუნქციონირებას;

კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს დამკვეთისთვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის;

ობიექტის არქიტექტურული და ტექნიკური გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან პროექტირების პროცესში.

დამატებითი მოთხოვნები:

- ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის შესრულების კონცეფტუალური გეგმა;
- მიმწოდებელმა კონცეპტუალური გეგმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის შეთანხმების შემდეგაც დაიწყება სამუშაოს შესრულების ვადის ათვლა;
- პროექტის კონცეპტუალურ გეგმაში ასახული უნდა იყოს:
  - საპროექტო გადაწყვეტების სტრატეგია და ძირითადი მიმართულებები;
  - საჭიროების შემთხვევაში ჩასატარებელი კვლევების ჩამონათვალი და მათი საჭიროების დასაბუთება;
  - დასაპროექტებელი ობიექტის ესკიზური გეგმები;
  - დასაპროექტებელი ობიექტების აზომვითი ნახაზები;
  - საპროექტო გადაწყვეტების და ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება.
- პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისთვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მაშტაბში და დეტალიზაციით. ობიექტის ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან პროექტირების პროცესში;
- ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს დამკვეთისთვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის;
- პროექტის განმარტებით ბარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტები (უნდა დაერთოს საჭირო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა. შ.), მოცემული უნდა იყოს ობიექტის ძირითადი პარამეტრები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით. მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, გაანგარიშების მეთოდები;
- მიმწოდებელი ვალდებულია მომზადებული პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის საპროექტო მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ

(საჭიროების შემთხვევაში) მონაწილეობა მიიღოს საპროექტო გადაწყვეტილებათა დაზუსტებაში, მუშა ნახაზების და სამშენებლო მოცულობების შესაბამისი ცვლილებების მომზადებაში;

- პრეტენდენტმა პროექტის ტექნიკური ნაწილი უნდა წარმოადგინოს ,,Word"-ის ფორმატში, ხარჯთაღრიცხვის ცხრილები ,,Excel" ფორმატში და ნახაზები საჭიროების მიხედვით AutoCAD, GIS, WGS 1984 UTMZone 38 პროექციაში და PDF ფორმატში, ჩაწერილი CD დისკზე და ამობეჭდილი ქაღალდის მატარებელზე სამ ეგზემპლიარად;
- მიმწოდებელმა პროექტირების პროცესში უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, საპროექტო და სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაცია უნდა შეადგინოს მათი სრული შესაბამისობით;
- მიმწოდებელმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ნებართვის გამცემცემი ორგანოების შენიშვნების შესაბამისად მომზადებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა ან დამატებითი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში დოკუმენტაციის შევსება. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნებართვის გამცემ ორგანოებთან შეთანხმების და სამშენებლო ნებართვების მოსაპოვებლად პრეტენდენტი ამზადებს ყველა სახის დოკუმენტაციას, ხოლო დამკვეთი ნებართვებს მოიპოვებს საკუთარი ხარჯით. ნებართვებისათვის განკუთვნილი დრო არ ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში.
- საპროექტო ორგანიზაციამ, საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, პროქეტის ტექნიკურ დავალებასთან, სამშენებლო ნორმებთან და წესებთან, საქართველოში მოქმედ საკანაონმდებლო-ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ში ან სხვა აკრედიტირებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს შესაბამისი დასკვნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად;
- საპროექტო ორგანიზაციას ან/და მის ქვეკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს შენობა-ნაგებობების პროექტირების და ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრების პროექტირების გამოცდილება. კერძოდ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (ტენდერის გამოცხადებამდე) უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ სამი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ზემოაღნიშნულ თემებზე, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტები-ხელშეკრულებ(ებ)ა და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი ან/და ცხრილი განცხადების SPA ნომრების მითითებით, სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა ატვირთოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- მიმწოდებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად მოცულობითი უწყისი და ტექნიკური დავალება;
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება ცალ-ცალკე ეტაპებად.
- პროექტი დასრულებულად ჩაითვლება ყველა საჭირო ნებართვის და საექსპერტო დასკვნების მოპოვების შემდეგ, რის შემდეგაც მოხდება ანგარიშსწორება.